ცნობის ფურცელი

№ 2242 ხუთშაბათი, 21 აგვისტო. 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2242

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—5 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების" მე-144 №-რი

შაბათს, 23 აგვისტოს, პირველ პლასტუნის ბატალიონის ესაულის

რომან დავითის ძის ბაქრაძის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი ქუთაისის წმ. გიორგის ეკკლესიაში (გორაზე), რასაც განსვენებულის ქვრივი ალექსანდრა დიმიტრის ასული ბაქრაძისა და სიმამრი დიმიტრი გიორგის ძე ალავიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (1—1)

ფოთის საბუღალტერო კურსები
კ. გიგინეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პროგრამები სურველთ გაეგზავნება უფასოდ. კურსებისთვის აშენებულია საგანგებო კაბინეტი პრაქტიკულ განყოფილებაში ფიქტიურ ოპერაციების საწარმოებლად. კურსების ჩინებულად დამსრულებელთ თვით კურსების დამაარსებელი უჩენს ადგილს (ნ. 0—9)

ДЕСЯТЬ ДНЕЙ

18, 19, 20, 21, 22, 23, 25, 26, 27 и 28 Августа

въ магазинѣ

П. С. ДОРОЖНОВА

НАЗНАЧЕНА

ДЕШЕВАЯ ПРОДАЖА

До 50,000 остатковъ, полотняныхъ, бумажныхъ, цвѣтныхъ лѣтныхъ тканей, цвѣтной бумазей и проч. сезонныхъ товаровъ.

Громадная скидка со всѣхъ товаровъ.

Магазинъ будетъ открываться въ дни распродажи съ 9½ час. утра до 2 час. дня и отъ 4½ ч. до 7½ вечера. (3—139—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. ბიდევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ჟიჟინაძე—კბილის, 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუშინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ა. გ. მაღალაშვილი. ბავშ. და, შინაგ. 10—11 საათ.

დ. ა. ბიდევანიშვილი.—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 11—1 ს.

ბრ. ვ. ხოვოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროსკოპიური გამოკვლევანი 5—6. საათ.

სამკურნალოს აქვს ოთხი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ქ. ქუთაისში

ექიმი გაბრიელ იოსების ძე

გოკიელოვი

გადავიდა ალექსანდრეს ქუჩაზე საკუთარს სახლში. ავადმყოფებს იღებს დილის 9—12 საათამდე, საღამოთი 5—7-დის. 7 საათიდან ელექტრონით წამლობა. (20—6.—11)

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის «შრომის» წევრთა

მორიგი კრება,

ამხანაგობის წესდების მე 41 პარაგრაფის თანახმად, წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო, გადადებულია 1903 წ. 24 აგვისტოს დილის 10 საათისათვის, ამხანაგობის სადგომში (მიხ. ქუჩა სახლი № 156).

განსახილველი საგნები:

1. 1903 წლ. პირველ ნახევრის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება; 2. გამგეობის მოხსენებანი ამხანაგობის საქმეთა გაუმჯობესებისა გამო; 3. სარევიზიო კომისიის წევრთა მოხსენებანი იმავ საგანზე და 4. არჩევანი ახალ წევრთა.

ეს კრება, როგორც განმეორებული, ზემოხსენებულ პარაგრაფის თანახმად კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, და ყოველ გვარი გარდაწყვეტილებანი სავალდებულო იქნება არ დამსწრე წევრთათვისაც.

ამხ. გამგეობის თავმჯდომარე გ. თოიძე.

გამგეობის წევრნი { ბ. ბერძენოვი
ი. რუსიევი

საჭიროა

ახალგაზდა ქართველი ექიმი

კერძო სამკურნალოსათვის.

ექიმმა უნდა იცხოვროს მუდმივ თვით სამკურნალოში.

მიმართეთ: გედევანიშვილის საავადმყოფოში დირექტორს და კბილის ექიმს პიპინაძეს. (6—6.—5)

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 8—10-მდე და 11—2-მდე. საღამო საღამობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამობით 5—7-მდე. (წლ.)

საზღვარ-გარედ

მაკედონია. მაკედონელი ოსმალები მეტად მტრულად ექცევიან აჯანყებულ ბოლგარებს. მაკედონიელ რევოლიუციონერთა კომიტეტს ოსმალების დასამშვიდებლად ცირკულიარი გამოუცია ოსმალურ ენაზე და მაკედონიასა და ადრიანოპოლის ვილაიეტში მცხოვრებ გავლენიან ოსმალებისათვის გაუგზავნია. ცირკულიარში სწერია:

„მოწყალეო ხელმწიფევ! მაკედონიის უმთავრესმა რევოლიუციონურმა კომიტეტმა ბრძოლა დაიწყო იმ აზრით, რომ უფრო სამართლიანი და ადამიანური მმართველობა დააწესოს და მაკედონია ეხლანდელ მმართველობისაგან გაანთავისუფლოს, რადგან ეს მმართველობა ქრისტიანებსაც და მუსულმანებსაც ერთნაირად აწუხებს.

ბრძოლა დაიწყო კიდეც. კომიტეტს თავის მოვალეობად მიაჩნია გავლენიან ოსმალებს სთხოვოს, თავიანთ თანამოძმეები დაამშვიდონ და მაკედონიელ რევოლიუციონერების მტრობაზე ხელი აიღებინონ.

აჯანყებულნი მშვიდობიან ოსმალებს არას დაუშავებენ, თუ თითონ ოსმალებმა არა დაუშავეს-რა.

თუ თავისუფლება მოვიპოვეთ, მშვიდობიანი მუსულმანებიც ჩვენსავით ისარგებლებენ თავისუფლებით".

ცირკულიარს ყოველ ეგზემპლიარს მაკედონიის უმთავრეს რევოლიუციონურ კომიტეტის ბეჭედი აზის.

◆ მაკედონიის აჯანყება მეტად სწრაფად ძლიერდება და ვრცელდება. აჯანყებულთ რიცხვი ეხლა 25 ათასამდე ადის; ეს ამოდენა ჯარი მრავალ პატარ-პატარა რაზმებადაა დაყოფილი. აჯანყებულთ „მთავარ შტაბს" 10 ათასი თოფი აქვს შენახული. თუ ვინიცობაა მომავალ წელსაც დასჭირდათ აჯანყება, ამ თოფებს მაშინ დაურიგებენ ხალხს. აჯანყებულებში ბევრი ქალი-მასწავლებელიც იღებს მონაწილეობას. ქალებს კაცურად აცვიათ, იარაღი უჭირავთ ხელში და მამაცად იბრძვიან მაკედონიის განთავისუფლებლად...

◆ ევროპის კონსულებმა ადრიანოპოლში ადგილობრივ ვალის პროტესტი გამოუცხადეს იმის თაობაზე, რომ ერთ ადგილას ოსმალებს ქრისტიანები გაეწყვიტათ. ვალიმ უპასუხა, მუსულმანების ფანატიზმის დამშვიდება არ შემიძლიანო.

◆ როცა როსტკოვსკის მკვლელი და იმისი თანამოაზრე დასაჯეს, მონასტირში მცხოვრებმა ოსმალებმა დასჯილთა ქვრივების სასარგებლოდ ფული შეჰკრიბეს. სულ 500 ოსმალური გირვანქა შეუკრებიათ.

◆ მაკედონიის აჯანყების ჩაქრობა ძლიერ გაუჭირდა ოსმალეთის მთავრობას. მაკედონიელებმა კირ-კილისის სანჯაყში რამდენიმე სოფელი აიკლეს; იქაური ოსმალები და ოსმალების ერთგული ბერძნები გაიქცნენ. ადგილობრივი ჯარი ვერასა ხდება აჯანყებულებთან. ამიტომ ოსმალეთის მთავრობა ძლიერა ზრუნავს სათადარიგო ჯარის შეკრებას. უსკიუბისა და ადრიანოპოლის ვილაეტებში მხნედ ჰკრებენ ჯარსა, მეტადრე ადრიანოპოლის ვილაეტში, რადგან ბოლოს დროს აჯანყება აქაც გაძლიერდა. უკანასკნელ დღეებში გათამამებული რევოლიუციონერები 100 კილომეტრის მანძილზე მიუახლოვდნენ სტამბოლს. შეკრებილ ჯარის ნაწილს ადრიანოპოლ-სტამბოლის რკინის გზის დაცვა დაევალება. მონასტირის ვილაეტში ჯერ-ჯერობით სათადარიგო ალბანელ ჯარის-კაცებს ჰკრებენ. ეს ჯარი თურმე სრულებით არ ემორჩილება დისციპლინას და თავის ნებაზე იქცევა. პრიზრენში, ქალაქზე გავლის დროს, ალბანელი ჯარის-კაცები ქუჩებში თოფს ესროდნენ ქრისტიანებს. ალბანელების მხეცურმა ქცევამ ყველანი შეაწუხა; ევროპიელმა კონსულებმა ადგილობრივ მთავრობას პროტესტი გამოუცხადეს ამაზე; ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ ოსმალეთის მთავრობას ალბანელები მაკედონიაში არ უნდა მოეყვანაო; ალბანელები კვლავინდებურად უსათუოდ უწესოებას მოახდენენ და ხალხს აღელვებენო; ამიტომ მთავრობამ ან სულ უნდა დაითხოვოს ალბანელები, ან, თუ არ დაუშლია, ალბანიაში მაინც დააყენოსო.

ოსმალეთის მთავრობას სალონიკშიაც დიდ-ძალი სამხედრო სურსათი და 60 ათასი მაუზერის თოფი გაუგზავნია ახლად შეკრებილ ჯარისათვის. ხონთქრის გვარდიის ქარხნებში 52 მუნდირი შეუკერნიათ და ისიც სალონიკში გაუგზავნიათ.

ოსმალეთი. ამ დღეებში, სტამბოლში ახალი შეთქმულება აღმოუჩენიათ; ამბობენ, ვითომ შეთქმულებს ხონთქრის მოკვლა განეზრახოსთ. მრავალი წარჩინებული ოსმალი დაუტუსაღებიათ, ხონთქრის იახტის უფროსი და ერთი უმაღლესი აფიცერი დაუკარგავთ. ამ ოფიცრებს ხონთქრის მემკვიდრის მოსამსახურეებთან მისვლა-მოსვლა ჰქონიათ. თუ განსაკუთრებული ნებართვა არა, ხონთქრის მემკვიდრის ნახვის ნება არავისა აქვს. ამიტომაა, რომ ეს აფიცრები ასე სასტიკად დასაჯეს. ამათ გარდა პერის გუბერნატორად ნამყოფის მახმეტ-ალი-ბეის მდივანი და სხვა გამოჩენილი კაცებიც დაიკარგეს.

◆ გაზეთები იუწყებიან, ხონთქარმა საფრანგეთის ელჩი კონსტანტი დაიბარა და მაკედონიის საქმეზე ესაუბრა დიდ ხანსაო.

საფრანგეთი. შერბურგში საზღვაო მინისტრის პელტანის თანადასწრებით გემი „ჟიულ ფერი" ჩაუშვეს ზღვაში. ამის შემდეგ პელტანის პატივსაცემლად ნადიმი გამართეს. ნადიმზე საზღვაო მინისტრმა პოლიტიკური სიტყვა წარმოსთქვა. პელტანმა სთქვა:

„ფლოტის უფროსები რესპუბლიკის წესებს უსაყოდ უნდა ემორჩილებოდნენ. ფლოტი ბერების გაზრდილ აფიცრების სანერგე როდი უნდა იყოს. ბერები ასწავლიან ოფიცრებს, თქვენი ხმალი კლერიკალიზმს უნდა ემსახურებოდეს და რესპუბლიკას ებრძოდესო". შემდეგ პელტანმა კონგრეგაციებზე ილაპარაკა და სთქვა: „კომბი თავის დაპირებას თავის ამხანაგების შემწეობით ბოლომდე აასრულებს, არაფერს დაბრკოლებას არ მოერიდება; მთავრობას კრიზისის არ ეშინიანო".

ავსტრო-უნგრეთი. უნგრეთის სამინისტროს კრიზისს ბოლო არ ელება. იმპერატორი ფრანც-იოსები უნგრეთის ეროვნულ მოთხოვნილებას არ ასრულებს, უნგრეთის პოლიტიკური მოღვაწეები კიდევ იმპერატორის პირობას არა სთანხმდებიან. იმპერატორი თანახმაა, რომ უნგრელი აფიცრები თან და თან უნგრეთის პოლკებში გადავიდნენ, უნგრეთის პოლიტიკოსები კი თხოულობენ, უნგრეთის პოლკებში უსათუოდ უნგრული ენა უნდა შემოიღონო, თორემ უამისოდ მორიგება არ შეიძლებაო. რაკი საქმე ასე გასჭირდა, ელიან, რომ კაბინეტის შედგენას ტისას მიანდობენო; იმედი აქვთ, რომ ტისა პარლამენტის წესდებას შესცვლის ამ და რეფორმის შემწეობით ობსტრუქციას მოსპობსო და მერე თითონ გადადგება სამსახურიდანაო. ან არა-და ჯერ-ჯერობით ისევ კუენ-ჰედერვარის დროებითი სამინისტრო დარჩება, ვიდრე იმპერატორი საქმეს როგორმე არ გადასწყვეტსო.

◆ ვენაში, ქალაქ გარედ, ერთ ბაღში, 10 აგვისტოს 4,000 მუშამ ხელ-ახლად მოახდინა კრება და საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და საიდუმლო უფლება მოითხოვა. ტრიბუნა ორატორებისათვის დიდ ცაცხვს ქვეშ იყო გამართული. ცაცხვის კენწეროზე წითელი ბაირაღი იყო გაშლილი. მუშების დეპუტატმა ფრანც შუმაიერმა სიტყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოსთქვა. როცა ორატორი ტრიბუნაზე ავიდა, მუშებმა ძლიერი ტაშის ცემა ასტეხეს. ორატორმა ჯერ ჰუნგრეთის კრიზისზე ილაპარაკა და მერე აღნიშნა, რომ ავსტრიაში ბოლოს დროს სამღვდელოება საკვირველად გამრავლდაო. სამღვდელოების გამრავლება მეტად საშიშია ხალხის თავისუფლებისათვისაო. მერე შუმაიერმა მუშების პარტიის პროგრამა გააცნო მსმენელებს და აუხსნა, თავდაპირველად საყოველთაო საარჩევნო უფლება უნდა მოვითხოვოთო.

ინგლისი. ჩემბერლენი ბაჟების დაწესებას მეტ წილად კოლონიების გულის მოსაგებად თხოულობს. თუ ბაჟები არ დავაწესეთ, იმპერია დაირღვევა, კოლონიები სულ ერთიანად მოგვშორდებიან, ცალკე გავლენო. ჩემბერლენი იმასაც ატანდა ძალას, ვითომ ბაჟების დაწესებას თითონ კოლონიები თხოულობენო. ეხლა, როგორც გაზეთების ცნობებიდან სჩანს, ინგლისის კოლონიებშიაც ბევრნი ყოფილან თავისუფალ ვაჭრობის მომხრენი და ბაჟების წინააღმდეგნი.

წარსულ კვირას ავსტრალიის დედა-ქალაქ მელბურნში, პარლამენტის შენობაში თავისუფალ ვაჭრობის პარტიას დიდი კრება გაუმართავს. კრების თავმჯდომარედ აქაურ ოპოზიციის მეთაური რიდი აურჩევიათ. რიდმა სიტყვა წარმოსთქვა და დამსწრე საზოგადოებას ურჩია, მომავალ საზოგადო არჩევნისათვის ფონდი დავაარსოთო. თავისუფალ ვაჭრობის დამცველები თუ ბაჟების მომხრეები ავსტრალიის ყოველ შტატში თურმე ცალცალკე პარტიებს ადგენენ და არჩევნისათვის ემზადებიან. არჩევნის დროს პირველ პარტიის ლოზუნგი იქნება: „ვაჭრობის თავისუფლება“, მეორისა კი: „მფარველობითი სატამოჟნო ბაჟები“. ავსტრალიის ფედერაციის პირველი მინისტრი თხოულობს, ინგლისის საქონელს რომ ბაჟი ადევს, შეუცვლელად დავტოვოთ, სხვა სახელმწიფოებიდან მოტანილ საქონელს-კი ბაჟი მოვუმატოთო. კრების თავმჯდომარემ რიდმა ამ წინადადების წინააღმდეგ ილაპარაკა: „ეგ სულ ერთია, რომ ვინმემ გვითხრას: მეტროპოლიის (ინგლისის) საქონელს 100% ბაჟი დავადვათ, რადგან ძლიერ გვიყვარს მეტროპოლია, გერმანიის საქონელს კი უფრო მეტი ბაჟი დავადვათ, რადგან გერმანია გვძულსო“.

მფარველობით ბაჟების პარტიის გამოჩენილი წევრი, სენატორი ფრაიზერი თავისუფალ ვაჭრობის მომხრე პარტიაში გადმოვიდა. მუშების გაზეთებმა მოწოდებით მიჰმართეს ინგლისისა, კანადისა, ავსტრალიისა და სამხრეთ-აფრიკის მუშების დეპუტატებს და სთხოვეს, ეცადენით, პურსა და სანოვაგეს ბაჟი არ დაედოსო. ავსტრალიის მუშები ყველანი ჩემბერლენის პროექტის წინააღმდეგნი არიან.

შეერთებული შტატები. შეერთებულ შტატების მთავრობა პანამის ყელზე არხის გაჭრას აპირებდა. ამაზე ცნობილმა გარეშე საქმეთა მინისტრმა გეიმ ხელ-შეკრულობაც შეადგინა. პანამა კოლუმბიის რესპუბლიკას ეკუთვნის. ამას წინად კოლუმბიის სენატმა ეს ხელ-შეკრულობა განიხილა და, როგორც დეპეშამ გვაცნობა კიდეც, არ დაამტკიცა. ამბობენ, ამერიკის დიდ რკინის გზების კომპანიებმა დიდ-ძალი ქრთამი მისცეს კოლუმბიის სენატორებსა და დეპუტატებს, რომ ეს ხელ-შეკრულობა არ დაემტკიცებინათო. ამ კომპანიებს დიდ ზარალს მოუტანს თურმე პანამის არხი და ამიტომ ესენი სცდილობენ, რომ ეს საქმე როგორმე დააბრკოლონ. ამბობენ, კომპანიებს 12 მილიონი დოლარი აქვთ გადადებული კოლუმბიის სენატისა და პალატის შესასყიდადაო. ამერიკის მთავრობას მეტად ეწყინა ეს ამბავი, რადგან პანამის არხის გაჭრა ძლიერ სასარგებლოდ მიაჩნია ამერიკის ვაჭრობის გასაძლიერებლად. გაზეთების ცნობებიდან სჩანს, რომ ამერიკის მთავრობასაც გულ-ხელი არ დაუკრეფია და თავისას ცდილობს. გაზეთები იუწყებიან: შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა სამინისტროს კოლუმბიიდან საიდუმლო ცნობა მოუვიდა: კოლუმბიაში აგიტაცია გამართეს და ცდილობენ იმნაირად შესცვალონ კოლუმბიის კონსტიტუცია, რომ გეის ხელ-შეკრულობის დამტკიცება შეიძლებოდესო.

◆ პრეზიდენტს რუზველტს ბევრი თანამგრძნობი და მომხრე ჰყავს, მაგრამ მტერიც ბევრი ჰყავს. „ლაფანის სააგენტო“ იუწყება: „ნიუ-იორკში პოლიტიკური კავშირი დააარსეს იმ აზრით, რომ რუზველტის ხელმეორედ პრეზიდენტად არჩევას ხელი შეუშალონ. კავშირის დამაარსებელნი უჩივიან პრეზიდენტს, იმისთანა დამსახურებულ ოფიცრებს, როგორც ადმირალ დიუის, ადმირალ შლეის და გენერალ მაილსს უსამართლოდ და სასტიკად მოექცაო. ამ ოპოზიციის მეთაურნი ამტკიცებენ, ვითომ პრეზიდენტმა ბირჟის ბატონების ჩაგონებით ჩაიდინა ეს უსამართლობაო. სააგენტო უმატებს, ეს მოძრაობა ძლიერ აშინებს რესპუბლიკელებსაო.

გაზ. „ტაიმს“-ი კი სულ სხვას იუწყება: ორს გავლენიან რესპუბლიკელ სენატორს დეპიუსა და სკოტს უთქვამთ გაზეთის კორესპონდენტისათვის, რესპუბლიკელი პარტია მომავალ კრების დროს ისევ რუზველტს დაასახელებს თავის კანდიდატადაო. სკოტს დაუმატებია, ჩემის აზრით, ცნობილი სენატორი ჰანნა (განსვენებულ მაკ-კინლეის მომხრე) რესპუბლიკელ კომიტეტის მეთაურად დარჩება და პრეზიდენტის არჩევის დროს რუზველტს დაუჭერს მხარსაო.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ „ჩერნ. პობერ.“ სწერს: „კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა საჭიროდ სცნო, **აუკრძალოს ამიერ-კავკასიაში ცხოვრება** ოზურგეთისა და ქუთაისის მაზრის მცხოვრებთ: კონსტანტინე გოგუაძეს, ნესტორ დუმბაძეს, მიხეილ მოქიას, ვლადიმერ სიხარულიძეს, ფილიპე დოლიძეს, ილიკო ივანეს ძე კოპალეიშვილს, ილიკო ოქროპირის ძე კოპალეიშვილს, გიორგი კაკაბაძეს, სევერიან ხვიჩიას, ანტონ სტურუას და დარისპან ხუჩუას. შეკრებულ ცნობებით გამოირკვა, რომ ზემოდ ჩამოთვლილნი საზოგადოებრივ წეს-წყობილებისა და მშვიდობიანობისათვის მავნე მოქმედებას ადგანან. პირველ ორს ამიერ კავკასიაში ცხოვრება აკრძალული აქვს ორის წლით, დანარჩენთ—ხუთის წლით.

◆ 19 აგვისტოს ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა მოხსენებანი განსაკუთრებულ კომისიისა და პოლიცმეისტერისა ტფილისის **ცეცხლის მქრობელ რაზმის რეორგანიზაციის** შესახებ. გამგეობამ გადაათვალიერა მთელი მასალა და დაადგინა: 1. დაწესდეს ტფილისში ორი რაზმი, ერთი მტკვრის მარჯვენა, მეორე მარცხენა მხრისთვის; 2. გადაიდოს ერთხანად რაზმების მოსაწყობად, მანქანების შესახენად და სხვა საქმისთვის 16,760 მან. და ყოველ წლიურად—41,440 მან. 3. დაწესდეს ერთ ცეცხლის მქრობელ რაზმთან ბუხრების მწმენდელთა კამანდა. ამ კამანდაში იქნება 50 კაცი, ათი უფროსი და 40 უმცროსი ბუხრის მწმენდელი. უფროს ბუხრის მწმენდელს წელიწადში ექნება 360 მან., უმცროს—300 მან. ამასთან 1200 მან გადაიდება ორის კონტროლერის ჯამაგირად და 400 მან. იარაღის შესაძენად და შესაკეთებლად. სულ ბუხრის მწმენდელთა ჯამაგირებისათვის—17,200 მან. გამგეობამ შეიმუშავა აგრეთვე პროექტი სავალდებულო დადგენილებათა ბუხრებისა და ფეჩების გაწმენდის შესახებ. ამ პროექტით, სამრეწველო დაწესებულებებმა, სადაც ბუხრებს და ფეჩებს ყოველ დღე ანთებენ, უნდა გააწმენდინონ თვეში ორჯერ ანუ წელიწადში 24-ჯერ. კერძო სახლებში სამზარეულოების ბუხრები უნდა გაიწმინდოს წელიწადში 6-ჯერ, სხვა ოთახების ბუხრები—სამჯერ. ვინც ამ წესებს არ შეასრულებს, ის პასუხის გებაში იქნება მიცემული. ფეჩების გაწმენდისათვის სამრეწველო დაწესებულებებმა უნდა გადაიხადონ 15 კაპ. თითო ფეჩსა და ბუხარზე; ამდენივე კერძო სახლების პატრონებმა სამზარეულოს ფეჩების გაწმენდისათვის, ხოლო სხვა ფეჩებისა—10 კაპ თითოზე. ეს დადგენილება ქალაქის საბჭოს წარედგინება განსახილველად და დასამტკიცებლად.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, გადასდოს ერთხანად 30-დან 40,000 მანეთი ან ყოველ წლიურად 4—5,000 მანეთი **პოლიციის უმცროს მოხელეთა დამატებით ჯამაგირებისათვის**. საბჭომ არ შეიწყნარა ეს წინადადება. საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულომ კიდევ არ დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება. ამის გამო საბჭომ სენატში გაასაჩივრა საკრებულოს გადაწყვეტილება. გუშინ გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, ეხლავე დაურიგოს პოლიციის მოხელეებს დამატებითი ჯამაგირები და სენატის გადაწყვეტილებას არ დაუცადოს.

◆ 24 აგვისტოსთვის ქუთაისში დანიშნული იყო კრება **ქუთაისის წყლის მილის გამყვან** საზოგადოებისა. რადგან ანგარიშის შედგენა ვერ მოუსწრიათ, კრება სხვა დროსთვის გადაუდვიათ.

◆ როგორც ბათუმის გაზეთი გადმოგვცემს, **ზუგდიდის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში** ბოროტ-მოქმედებანი აღმოჩნდა თურმე. გამოძიებას უკვე შესდგომიან.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 19 აგვისტოს განიხილა ქალაქის მოურავის მოხსენება **სამხედრო საკრებულოს** შესანახ ხარჯის გადიდების შესახებ და დაადგინა: 1. გადაიდოს საკრებულოს შესანახად წელიწადში 1144 მანეთით მეტი; 2. საკრებულოს საქმის მწარმოებელს იმ 1000 მანეთს გარდა, რომელიც ეხლა ხაზინიდან ეძლევა, მიეცეს კიდევ ქალაქისაგან 600 მან.; 3. დატოვებულ იქნას ერთი თანამდებობა თარჯიმანისა, რომელსაც 900 მან. დაენიშნოს; 4. ერთს უმცროს მოხელეს, რომელიც ამ ჟამად 480 მან. იღებს, მიეცეს 600 მან., ხოლო მეორეს 480 მან. ნაცვლად 240 მანეთისა და მე-5 სამხედრო სტოლის მწერალს ნაცვლად 480 მან. წელიწადში დაენიშნოს 900 მან.

◆ გუშინ, 20 აგვისტოს, ტფილისის ქალაქის გამგეობამ მისწერა ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების დირექტორებს, გამოუგზავნონ სიები იმ მოსწავლეებისა, რომელთაც დანიშნული აქვთ აბესალომოვის სახელობის **სტიპენდიები** და აგრეთვე შეატყობინონ, რამდენი სტიპენდია განთავისუფლდა.

◆ საქმე დომენტი კვაჭაძისა, ხარლამპი კაველაძისა და სხვათა, რომელთაც **ფოთის ხაზინაზე თავს დასხმა** ჰბრალდებათ, გაირჩევა ქუთაისში 30 სექტემბერს სამხედრო სასამართლოს მიერ.

◆ ფუნიკულერის გასამართად შემდგარ საზოგადოებას განუზრახავს **ელექტრონის ცხენის რკინის გზის** გაყვანა მთაწმინდის გორიდან კოჯრამდე. შუამდგომლობა კონცესიის შესახებ უკვე აღუძრავთ.

◆ „კავ.“ შემდეგს გადმოგვცემს გუმბრში **მღვდლის კრ. ვასილოვის მოკვლის** შესახებ. საღამოს 7 საათზე მღვდელი ვასილოვი მაზრის უფროსთან მიდიოდა თურმე რაღაც საქმისთვის. ამ დროს უკანიდან მიჰპარვია ორი ვიღაც კაცი, ერთს ხანჯალი უძვრია და ზურგში ორჯელ დაუცია, შემდეგ ორი-

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲥᲣᲗᲐᲗᲣᲠᲘ ᲠᲐᲛᲔ-ᲠᲣᲛᲔ

დაცარიელებული ქუთაისი. — მოწყენილი ბულვარი. — ლაღიძის გასართობი და თეატრი.—კლუბი და იქ დროს გატარება.—როგორ ასწავლიან ბანქოს თამაშს მამები შვილებს.—ქალებმაც განიზრახეს კლუბის დაარსება.—„ტვირთ-მძიმეთა“ სასეირნო ადგილი.

ჯერ კიდევ ცარიელია ქუთაისი. ვისაც ცოტა რამ გააჩნდა, თავის მიერ კეთილ-შენაძენი, თუ მამა-პაპისეული, სიცხეების დადგომისათანავე აბასთუმან-ბორჯომისაკენ და ბახმარო-ბაკურიანისაკენ მოჰქუსლა და დღესაც იქ იგრილებს შუბლს. ზოგმა საექიმოდ გასწია, რომ ქუთაისის ქუჩების შეზავებულ მტვრისაგან დაავადებული ფილტვები განიკურნოს; ზოგმა შესასვენებლად, დროს გასატარებლად; ზოგმა ისე—მოდისთვის; ზოგმაც ბანქოს თამაშით ფულის მოსაგებად (მოგეხსენებათ, აგარაკებს უფრო ფულიანები ეტანებიან); ყველამ კი ფულის გასაფლანგავად და ცარიელი ჯიბითა და უფრო დაავადებულ ფილტვებით უკან დასაბრუნებლად, რომ ერთი-ორის თვის მხიარულებისა და ლხინის შემდეგ ხუთი-ექვსი თვე იდარდონ და იწუწუნონ. საყურადღებოა ისიც, რომ ყველა აბასთუმან-ბორჯომს ეტანება და ერიდება რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთს, სადაც ცხოვრება ერთი-ორად და სამად უფრო იაფად ჯდება და სარგებლობაც მეტია.

დიახ, მთელ ზაფხულს ცარიელი იყო ქუთაისი. შეღამდებოდა თუ არა, ყველა თავის ჰერ ქვეშ იბუდებდა. ბულვარი ძალზე მოწყენილი იყო. იქ წვრილ მოხელეებს—არა უმსხვილეს გოგოლის აკაკი აკაკიევიჩისა—და ნოქრებს თუ შეხვდებოდით. მაგრამ ესენიც რაღაც ცალ-ცალკე დაკინკილობდნენ. ხანდახან, დაგვიანებულ მერცხალივით, აბრეშუმის კაბებიც გაიშრიალებდნენ ხოლმე ბაღში, მაგრამ ერთხელ თუ შემოუტრიალებდნენ ბაღს, ესეც კარგი იყო. ან კი რას უნდა გამოსდგომოდნენ, როდესაც ვერავის იპოვნიდნენ. ესევე ემართებოდათ, რასაკვირველია, მამაკაცებსაც. რაც შეეხება სტუდენტებს, საზოგადოების „გზის მაჩვენებელთ“, ხალხის „ბარომეტრს“,—როგორც თვითონ უწოდებენ თავიან თავს—იმათ შესახებ არას ვიტყვი, რადგან, მოგეხსენებათ, როგორც ყმაწვილები, ფიცხი ხალხია და დამემდურებიან.

დაცარიელებული იყო მთელ ზაფხულს მ. ლაღიძის ხელოვნურ წყლების ქარხანაც, მაგრამ ამისი მიზეზი უფრო ის უნდა ყოფილიყო, რომ რკინის გზის შეკვრის გამო მაზუთი შემოაკლდა და ელექტრონის ფარნებმა უღალატა, თორემ როგორ დავიჯერო, თუ სადმე ქუთაისში პეპელა იყო დარჩენილი, ელექტრონის სინათლეს არ მიეტყუებოდა!

თეატრი ხომ დაცარიელდა და დაცარიელდა, მაგრამ მისი დაცარიელება მარტო ზაფხულის სიცხეებს არ მიეწერება: ზამთარშიაც ცარიელია ჩვენის საზოგადოებისა და რამდენიმე მახიობთა წყალობით.

არ დაცარიელებულა ამ ზაფხულს მხოლოდ ქუთაისის კლუბი, ეს ხანში შესულ ინტელიგენტთა გასართობი და დროს მოსაკლავი ადგილი. მაგრამ უკაცრავად: ხანში შესულთ არც ახალგაზდები ჩამორჩებიან კლუბში სიარულით. გაათავებს თუ არა რომელიმე ახალგაზდა უნივერსიტეტს, მოვალედ სთვლის თავს, იშოვნოს ვინმე მფარველ-პატრონი და ჩაეწეროს კლუბის წევრად (ნეტავი ასეთის სურვილით „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრებად ეწერებოდნენ!), რომ იქ მიიღოს უფროსთაგან ლოცვა-კურთხევა და ცხოვრებაში შესვლის ატესტატი. მამა შვილს უკეთებს პროტექციას, ბიძა—ძმისწულს, ბაბუა—შვილიშვილს და სხ. უნდა უყუროთ, რა სიამოვნება, რა სიხარული იხატება მამის სახეზე, როდესაც ჰხედავს, იმისი შვილი რომ მოხერხებულად თამაშობს. „ჩემი შვილი ყველაფერში მე მგავს, მაგრამ ბანქოს თამაშში მაინც პაჯობაო“, ეუბნება სხვებს სახე-გაბრწყინვებული.

ყველა თამაშობს... არა უკაცრავათ: ზოგნი, რომელთაც ჯიბეების გაწმენდა უკვე მოუსწრიათ ჰუკყისაგან, შორი-ახლოდან გულ-დაწყვეტილნი თვალს ადევნებენ მოთამაშეთ, თავს უსიამოვნოთ აქნევენ და გულიაში ჩამწყვდეულ ლომივით ბუტბუტებენ: „ვაი, სადაა ის ეშმაკის მოგონილი ბრჭყვიალა ლითონი, რომ მთელი ბანკი ერთბაშად წამოვიღოო“. ყველას სახე გაწითლებია, თავზე თმა აბურძგვნია და უძილობით თვალები დასისხლიანებია ნაწილ თევზივით. ოთახში ცარცის მტვერისა და თამბაქოს ბოლისაგან თვალთა ხედვა არ არის... ცარიელდება ერთის ჯიბე, რომ მეორესი რამდენიმე წამით აივსოს. შვილი მამას უგებს ფულს, მამა-ბაბუას, მეგობარი მეგობარს და სხ.; მაგრამ მეორე დღეს ყველანი წაგებულნი რჩებიან, როგორც ძალ ღონით, ისე ნივთიერად, რადგან, მოგეხსენებათ, ქარის შემოტანილი ქარსავე მიაქვს და ოხრად მოგებული ოხრადვე იფლანგება. ეხლა, როგორც გავიგე, ქუთათურ ქალებსაც განუზრახავთ ერთის კლუბის დაარსება. აბა რა უნდა ჰქმნან! ისინიც ადამიანები არიან, იმათაც უნდათ გართობა, დროს გატარება. ერთი ბულვარი ჰქონდათ ასეთ ადვილათ და მის შემდეგ, რაც მიშა ბეკოშვილის წერილი დაიბეჭდა, იქაც ველარ ბედავენ შესვლას.

სიმართლე რომ სთქვას კაცმა, არც ქუთაისის თეთრი ხიდი დაცარიელებულა ამ ზაფხულს: „ტვირთ-მძიმენი და დამაშვრალნი“, რომელთათვის კლუბის კარები დაკეტილია, იქ ეძიებენ „ადგილს განსასვენებლად“ და „ფიქრთ გასართველად“, რომ თავისი სევდა გაუზიარონ რიონის ბუტბუტს, შეუერთონ იმის ზვირთებს. მაგრამ ის ანჩხლი, მიუკარებელი, სხვის სევდასა და ჭირ-ვარამს ყურადღებას არ აქცევს და ქუდ-მოგლეჯილი მირბის თავისთვის დასავლეთისკენ.

დონ-გალიანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვენი გაქცეულან. დაჭრილი მღვდელი ექიმის სახლის კარებამდე მისულა, მაგრამ იქ, ქუჩაში, მომკვდარა.

✦ **გაგრაში მცენარეულობის გამოფენის** გამმართველი კომიტეტი გვთხოვს დავბეჭდოთ: იმ ექსპონენტებს, რომელთაც ცალკე პავილიონებისა და ფარდულების გამართვა სურთ, საჭირო მასალა შეუძლიანთ მიიღონ გაგრის საკლიმატო სადგურის გამგეობისაგან. მსურველთ შეუძლიანთ 15 მანეთად თვეში მიიღონ თავიანთ ნივთების გამოსაფენად განსაკუთრებული კარვებიც.

✦ სოფ. ნიჩბისში ვიღაც ბოროტ-მოქმედთ **გაუტეხიათ ეკლესია**, საიდანაც წაუღიათ ორმოცი მანეთის ნივთები.

✦ სოფლებს ხობსა, ზენსა, ხორგასა და ნოჯიხევში (ზუგდიდის მაზრა), აგვისტოს პირველ რიცხვებში, როგორც გვატყობინებენ, მდინარე ხობს სულ ერთიან **წაუღია ნათესობა**.

✦ **თუშეთ-კახეთის საპოლიციო ნაწილის** ბოქაულად, ტერ-გრიქუროვის ნაცვლად, რომელიც სრულიად გადადგა სამსახურიდან, დანიშნეს თიანეთის საპოლიციო გამგეობის მოხელე თულაშვილი.

✦ ტფილისის **მოქალაქეთა რწმუნებულების** კრება, რომელიც დანიშნული იყო დღეისთვის, გადაიდო 23 აგვისტოსათვის. კრება მოხდება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში.

✦ გუშინ **ტფილისის სამუსიკო სასწავლებლის** დირექტორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, გაუგზავნოს სასწავლებელს ის 324 მან., რომელიც საბჭომ დაუნიშნა.

✦ სამკურნალო დეპარტამენტმა ნება დართო **ტფილისის საბებიო ინსტიტუტს** უეგზამენოთ მიიღოს ის ქალები, რომელნიც გიმნაზიის ან შესაფერ სასწავლებლის მე-4 (ან უფროს) კლასის გათავების მოწმობას წარადგენენ.

✦ 1 აგვისტოს, ღამე, მცხეთაში ექიმ ფიშერის სადგომიდან, გადომსკის აგარაკში, ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ მოუპარავთ სკივრი ტანთსაცმელებით 50 მანეთად ღირებული. ეჭვი შეუტანიათ ექიმ პროზოროვსკის მებაღეზე, ივანე კურაშვილზე.

✦ 12 აგვისტოს აზნაურმა ზაქარია კობიაშვილმა დუშეთში მძიმედ დასჭრა ხმლით პაპაშვილი.

✦ 8 აგვისტოს ჭალის თავში (მცხეთის საბოქაულო) თოფჩიევის 17 ურემ თივას ვიღაც ბოროტ-განმზრახველებმა ცეცხლი წაუკიდეს და გადასწვეს. ზარალი 255 მანეთისაა. ეჭვი მიიტანეს სოფ. წეროვნელ მცხოვრებ გოლა, მათე, იაკობ და ლექსო სოხაშვილებზე

—

შეცდომის გასწორება. „ცნ. ფურ."-ს მე-2239 ნომრის ახალ ამბავში შეცდომით დაბეჭდილია: „ტფილისის მაზრის სოფელ ბორნალოდან გვატყობინებენ, რომ ამ სოფელში ამას წინად ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ ფული გამოუწვრიათ ერთის სპარსელისათვის". უნდა იყოს: გვატყობინებენ ბორჩალოდან„. და „ბოროტ-განმზრახველთ ფული გამოუწვრიათ სპარსელისათვის". შემდეგ, აგრეთვე მე-2241 ნომრის ფელეტონში. მესამე სვეტზე დაბეჭდილია: „სახელმწიფო დაწესებულებებსა, სამრეწველო საზოგადოებებსა და რკინის გზის კამპანიებში ფეხს ვერ აუქცევთ"... უნდა იყოს—„სამრეწველო საზოგადოებებსა". ამავე ნომრის პირველ ახალ ამბავში დაბეჭდილია, რომ 15 ივლისს დუშეთის მაზრის თავ.-აზნ. წინამძღოლმა მოსალაპარაკებლად დაიბარა საშამბურის გლეხნი და აზნაურნი. 15 ივლისის ნაცვლად 15 აგვისტო უნდა.

რუსეთის ქრონიკა

✦ ოფიციალურად გამოცხადებულ ცნობებიდან სჩანს, რომ 1899 წლის 16 მაისიდან რუსეთში გამოსულა სულ 630 მილიონის ქაღალდის ფული. წელს კიდევ 25 მილიონი მან. გამოუციათ. ამნაირად დღეს რუსეთში 655 მილიონის ქაღალდის ფულია, ოქროს ფული-კი 830,970,000 მანეთისა.

✦ ოდესის სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე კორნეტ სკადოვსკისა, რომელსაც ლაპარაკი მოსვლია ოდესის სტუდენტ მერშავცევთან და რევოლვერით დაუჭრია იგი. ჭრილობა მსუბუქი გამოდგა. სასამართლომ სკადოვსკის საზნაურო ღირსების ახდა და ერთის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა და ამავე დროს დაადგინა, იშუამდგომლოს ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რომ ეს სასჯელი ციხეში დამწყვდევით შეეცვალოს 1 წლისა და 4 თვის ვადით.

✦ პეტერბურგში ამ ჟამად ერთი ინდოელი იმყოფება, გვარად კერხაუ რომელიც რუსეთის გასაცნობად ჩამოსულა და ამბობს, ინდოეთის ინტელიგენციაში გაღვიძებულია ამ ბოლო დროს სურვილი რუსეთის გაცნობისაო. სანამ პეტერბურგს მოვიდოდა, კერხაუ ლ. ტოლსტოის ეწვია იასნაია პოლიანაში, სადაც ორი დღე დაჰყო. კერხაუს სიტყვით, ინდოეთში ძრიელ მცირე ცნობებია გავრცელებული რუსეთის შესახებ. იმათ საისტორიო სახელმძღვანელოებში მხოლოდ ცოტა რამ არის ნათქვამი პეტრე დიდის შესახებ და რუსეთის მწერალთაგან მხოლოდ ლ. ტოლსტოის იცნობენ, რომელსაც ძალიან პატივსა სცემენ თურმე. ლ. ტოლსტოის ნაწერების ინგლისური თარგმანები ინდოეთში გავრცელებული.

✦ რუსეთში ამ ჟამად სულ 246 გიმნაზია და პროგიმნაზია ყოფილა, რომლებშიაც 93,160 შეგირდი ითვლება. ყველაზე მეტი მოწაფე ბაქოს გიმნაზიაშია, (1.182), შემდეგ სტავროპოლისაში (998); ტფილისის პირველ გიმნაზიას მესამე ადგილი უჭირავს (931). რეალური სასწავლებლები 124 ა რუსეთში, სადაც 43,214 მოწაფე ითვლება. საერო განათლების სამინისტრომ ხალხის განათლებისთვის 1903 წელს 39 მილიონი მან. უნდა დაჰხარჯოს; ამ ფულიდან ქალაქებსა და სოფლებში პირველ დაწყებით სახალხო განათლებას მხოლოდ 10 მილიონი მან. უნდა მოხმარდეს, ე. ი. იმაზე ნაკლები, რასაც დღეს მარტო ქალ. ბერლინი ჰხარჯავს თავის სკოლების შესანახად.

✦ სხვა-და-სხვა სამაზრო კრებათ აღუძრავთ შუამდგომლობა შინაგან საქმეთა სამინისტროში საგლეხო თვით მმართველობის შეცვლის შესახებ. ჰსურთ, მამასახლისებს მეტი უფლება მიენიჭოს, სოფლის მოხელეებმა თანამდებობის ნიშნები ატარონ, ზოგიერთებმა მუნდირიც კი.

✦ რადგან ამ ბოლო დროს ზოგიერთ ხაზინებში იმ ოქროს ფულს არ ღებულობენ, რომელსაც სტოლზე რომ დაარტყამენ ნამდვილ ხმას არ გამოსცემს, მთავრობამ განუმარტა სახაზინო პალატებს, რომ ხაზინას არა აქვს უფლება არ მიიღოს ამნაირი ოქრო, თუ კი მას სხვა სიყალბის ნიშნები არ ატყვიაო.

✦ იაპონიის ქალაქ ნაგასაკში დეკემბრიდან გამოვა რუსული გაზეთი „ვოსტოკ".

✦ გზათა სამინისტროს ცნობებიდან სჩანს, რომ წელს ციმბირში წინანდელზე ნაკლებად მიდის ხალხი რუსეთიდან, რაიცა ერთის მხრით იმით აიხსნება, რომ მოსავალს ევროპის რუსეთში საზოგადოდ კარგი პირი უჩანს და მუშების ქირამაც აიწია ამ ბოლო დროს.

პრესსა

გაზ. „იუჟ. როს."-ში შემდეგი საინტერესო ამბავია მოთავსებული.

სამხრეთ რუსეთის ერთ ნავთსადგურში სამიკიტნოს წინ ოთხ ახალგაზდა მუშას მოეყარა თავი სტოლთან და საზამთროს სჭამდნენ. მათ სიახლოვეს ხის ქვეშ რამდენიმე კაცი, გემების დამტვირთველები, ისხდნენ დასასვენებლად. ამ დროს სამიკიტნოში ერთი უცხოელი შევიდა, ინგლისელი გემის კაპიტანი, და რაღაც მოითხოვა. როცა ამ კაპიტანმა სტოლთან მოსხდარ მუშებთან გაიარა, ერთმა მუშამ საზამთროს ქერქი ესროლა და თავში მოახვედრა. შეურაცხყოფილი ინგლისელი გაწითლდა და ხმა-ამოუღებლად გაუდგა გზას. ამ დროს ხის ქვეშ წამოწოლილი ერთი მუშა ფეხზე წამოდგა, მიუახლოვდა იმ მუშას, რომელმაც ქერქი ესროლა ინგლისელს, და ხმა-ამოუღებლივ ერთი შემოკვრით გადმოაგდო სკამიდან მიწაზე.

რას მერჩი, ბიძავ!—შესძახა მიწაზე გაშხლართულმა ახალგაზდა მუშამ.

— ნუ არცხვენ რუსეთს, შე კატის კნუტო,—უპასუხა გემის დამტვირთველმა.—მე ოცი წლის განმავლობაში ვმსახურებდი სხვა და სხვა გემებზე, ყველა უცხო ქვეყნები შემომივლია და არსად არ შემიმჩნევია ასეთი თავხედობა უცხოელების მიმართ, როგორც ახლა შენ ჩაიდინე, რას ერჩოდი ამ პატიოსან ინგლისელს?

ამ სიტყვებმა ისეთნაირად იმოქმედეს ახალგაზდა მუშაზე, რომ იგი წყნარად წამოდგა ფეხზე, მიუჯდა სტოლს, და თითქო არაფერი შემთხვევიაო, განაგრძო საზამთროს ჭამა.

⁂

„ს. პეტ. ვედ."-ს თანამშრომელი ს-ნი ეხება რკინის გზის სახელოსნოების ოსტატების თავხედობას, მათ დამოკიდებულების მუშებთან, ცემა-ტყეპას, რომელსაც ეს ოსტატები არ ერიდებიან და მძულვარებას სთესენ მუშათა შორის.

ყველა ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენის რკინის გზების სახელოსნოებში, ამბობს ბ-ნი ს—ნი, და სწორედ ეს იყო მიზეზი ამას წინად ერთს რკინის გზის სახელოსნოში მომხდარ მუშების გაფიცვისა. დღევანდელი მუშა თავმოყვარე კაცია. გალახვას თავისი ღირსების დამცირებად მიიჩნევს ხოლმე. ოსტატისაგან გალახული ერთი მუშა დაითხოვეს სახელოსნოდან ოსტატის ავტორიტეტის გასამტკიცებლად. დათხოვილ მუშების ამხანაგებმა იწყინეს ეს ამბავი, აღელდნენ, გაფიცვა მოახდინეს და გამოუცხადეს რკინის გზის უფროსს თავისი მოთხოვნილებანი, რომლებშიაც ათი სხვა-და-სხვა მუხლი იყო. სხვათა შორის ითხოვდნენ, ოსტატი დაითხოვეთო და დათხოვილი მუშა ისევ მიიღეთო.

რკინის გზის უფროსმა სამართლიანად იცნო მათი მოთხოვნილებანი და დააკმაყოფილა ისინი.

უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ გაფიცვა თითქმის ყველგან რკინის გზის სახელოსნოებიდან იწყება. საგულისხმიერო მოვლენაა. განა დრო არ არის დავუქვემდებაროთ საფაბრიკო ინსპექციას შრომის ისეთი სფერა, რომელსაც იგი დღეს არ ეხება. ყველაზე უწინ სახაზინო რკინის გზების სახელოსნოები უნდა დავუმორჩილოთ ინსპექციას.

ხაზინასა და მუშათა შორის დამოკიდებულება დღეს მეტად რთულია. ხაზინა წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს, უფლება-მოსილ პატრონს და საბოლოო მოსამართლეს. მისი ორჭოფი მდგომარეობა თვით მისთვის არის საზარალო და მავნებელი და საჭიროა გამოვიდეს ამ მდგომარეობიდან.

ამ წერილში მოხსენებულმა გალახულმა მუშამ სასამართლოში უჩივლა თავის გამლახველ ოსტატს და მოსამართლემ კანონიერი სასჯელი გადაუწყვიტა გამლახველს. გალახული მუშა კი სახელოსნოებიდან დაითხოვეს. ერთმა სახელმწიფო დაწესებულებამ, სასამართლომ, დააკმაყოფილა შეურაცხყოფილი მუშა, მეორემ-კი, სახელმწიფო რკინის გზის გამგეობამ, დასაჯა იგი: რანაირი ლოგიკური საფუძველი უნდა მოუძებნოთ ამ მოვლენას?

⁂

მოსკოვის ქალაქის საბჭოს უწყებებში მოთავსებულია ბ-ნ ნიკიტინის წერილი, რომელშიაც ავტორი ეხება ქალაქის გამგეობათა თვით-მოქმედების შემაფერხებელ სავალდებულო ხარჯებს. მაგალითად,

1894 წელს რუსეთის ყველა ქალაქების ბიუჯეტი (პოლონეთისა და ფინლიანდიის გარდა) 62 მილიონი მან. იყო, რომლიდან 13 მილიონი ე. ი. 20 პროც. სავალდებულო ხარჯებმა შთანთქა — ხაზინისათვის შეწევნამ, სამხედრო სადგომო ბეგარამ, საპყრობილეთა გათბობა-განათებამ, პოლიციისა და ცეცხლის-მქრობელ რაზმთა შენახვამ. 1894 წლის შემდეგ ქალაქების ბიუჯეტმა იმატა, 5 წლის განმავლობაში 120 მილიონამდის ავიდა, მაგრამ ამის და-კვალად იმატა აგრეთვე სავალდებულო გადასახადებმა—ისევ 20 პროც. შეადგენს მთელი ბიუჯეტისას. ბიუჯეტში აღნიშნულ ხარჯების რაოდენობა ნამდვილ ხარჯებს არ ეთანხმება. სამწუხაროდ, მხოლოდ მოსკოვისა და ნიკოლაევის შესახებ არის გამოანგარიშებული, თუ რამდენს ხარჯავენ ამ ქალაქების მკვიდრნი პოლიციის შესანახად. მაგალითად, 1899 წ. მოსკოვის ბიუჯეტის მთელი მესამედი პოლიციამ შთანთქა,—3,317,625 მან. იმის დასამტკიცებლად, თუ რა მძიმე ტვირთად აწევს ქალაქების მკვიდრთ პოლიციის შენახვა, ავტორს მოჰყავს საყურადღებო ნუსხა პოლიციაზე დანახარჯისა, ქალაქის მცხოვრებთა განათლებაზე დანახარჯთან შედარებით. 1897 წელს დახარჯულა თითო მკვიდრზე.

	პოლიციაზე. კაპ.	სასაწვლებლებზე კაპ.
პეტერბურგში. .	90,5	80,5
მოსკოვში .	116,5	73,2
ოდესაში . .	83,	85
კიევში . . .	92	53
ხარკოვში . .	50	36
ვილნოში . .	52	6
ტულაში . .	34	12
კოვნოში . .	28	2
ორიოლში . .	44	8
კრონშტადტში .	71	18

პოლიციის ხარჯის განწესრიგება მით უფრო საჭიროა, რომ დღეს იგი არავითარ ფარგალში არ არის მომწყვდეული, ერთობ გამოურკვეველია. მაგალითად, კანონში არ არის გარკვევით აღნიშნული, თუ რა ნაირი სადგომები უნდა აძლიოს ქალაქებმა პოლიციას. ამიტომ პეტერბურგის პოლიცმეისტერს 11 ოთახი უჭირავს თურმე უპირველეს ქუჩაზე, ქალაქის უფროსის მდივანს—10 ოთახი, საქმის მწარმოებელს—7 და სხვ. რევიზიამ აღმოაჩინა აგრეთვე, რომ იმ შენობებში, რომელნიც პეტერბურგში ქალაქმა საპოლიციო გამგეობათ მისცა, სხვათა შორის, საპოლიციო დარაჯები იდგნენ, თუმცა მათთვის სადგურების ფასს ცალკე აძლევინებს პოლიცია ქალაქს. დღეს ქალაქის გამგეობათ სრულებით არ შეუძლიათ ამ მხრივ პოლიციას კონტროლი დაუმორჩილონ, რასაც სამწუხარო შედეგი აქვს ქალაქების მკვიდრთათვის. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში თერთმეტჯერ შეუცვლიათ და გაუძლიერებიათ სატახტო ქალაქის პოლიციის შტატები. მარტო მოსკოვში 1881 წლიდან 1902 წლამდის ცხრაჯერ მოუმატებიათ ამ შტატებისათვის.

წერილი თელავიდან

ნახული და გაგონილი

ამბობენ და სწერენ კიდეც, რომ თელავი მარტო ზაფხულობით იღვიძებსო. ძალიან კარგი, მაგრამ რით გამოიხატება ეს გაღვიძება? გაღვიძებას ხომ ვერ უწოდებთ ხალხთა სიმრავლეს, კლუბს, იმის ქვეშ მოთავსებულ „ანონას" (ბუფეტს), სადაც ბევრჯელ შეხვდებით ახალ-თაობას, ბევრ დურუ-ქუდოსანს, ახალთაობის აღმზრდელთ და სხვას, რომელიც დროს კარგად ატარებენ კლუბში, საცეკვაო საღამოებზე ცეკვაობით, თეატრში მონაწილეობით და ბილიარდზე თამაშობით. წარმოდგენები ბევრი იმართება, მაგრამ ამ წარმოდგენებში შეძლებულნი ირთობენ თავს, ხოლო შეუძლო ხალხი ხელმიუწვდომლობის გამო ვერ დადის. ამ ზაფხულს არც ერთი სახალხო წარმოდგენა არ გამართულა თელავის მდაბიო ხელოსანთათვის, სცენა არც ერთხელ არ დაუნახავთ, მათ კი დიდი ხანია გახსნილი აქვთ.

ამას გარდა გაზაფხულობით საკვირაო სკოლაში სწავლა სწყდება, რადგან მასწავლებელნი აქეთ-იქით მიდიან და ზოგიც 9 თვის ჯაფა-მუშაობის შემდეგ მოსვენებას ეძლევა. განა მოსულებს არ შეეძლოთ ამათი მაგივრობა გაეწიათ და კვირაში 3-4 საათი შეეწირათ! განა ამის შემდეგ კიდევ შეგვიძლია ვსთქვათ, თელავი ზაფხულობით იღვიძებსო?

ეს ორიოდე თვეა აქ ვიმყოფები და, როგორც დავაკვირდი აქაურ ცხოვრებას და გადმომცეს კიდეც, ვერავითარი ძმობა და ერთობა ჰქონიათ აქაურებს. ერთმანეთის მტრობა და ქიშპობაც ჰყვარებიათ, მხოლოდ პირში-კი ერთმანეთს გუნდრუკს უკმევენ. მართლა, კინაღამ დამავიწყდა, უნდა გითხრათ რამე, მხოლოდ ეს სიტყვები ჩვენ შორის დარჩეს, თორემ თუ გაიგეს, მეც ხეირს არ დამაყრიან. დაბეზღებას და „დანოსობასაც" თელავში მაგრად მოუკიდნია ფეხი. თუ თავიანთი მოღვაწეობა ასე განაგრძეს, მგონი, იმერეთსაც მალე გაუსწრონ.

მოაგარაკე

წერილი ივრის ხეობიდან

რა წამალი იხმარეს სოფლელებმა ქურდობის ამოსაფხვრელად?

ივრის ხეობის სოფლები განადგურებულია ქურდებ-ავაზაკებისაგან, ამ ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა, თათრის სოფლების სიახლოვე და შინაური უსუსურობა ხელს უწყობდა ქურდობა—ავაზაკობის გავრცელებას. ოდესმე ამაზე ბევრი დაიწერა ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში, ბევრი თქმულა, ბევრჯელ მიჰმართეს, სადაც საჭირო იყო, მაგრამ წამალი, ხსნა არსაიდან მოვიდა. ყველგან იმას ეუბნებოდნენ, თქვენ თავს თითონ თქვენ უპატრონეთო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქურდები სოფლებში გაბატონდნენ. ერი, ბერი მღვდელი ქურდებს პირში უცინოდა, ეფერებოდა და ქუდს უხრიდა, ვინ გაჰბედავდა იმათ პირში მხილებას? ესენიც ნავარდობდნენ, მაგრამ, ქართული ანდაზაა: ერთი დრო არავის შერჩებაო. დიახ, არც ამათ შერჩათ ბატონობა.

ამ წლის დამდეგს სოფ. გიორგი-წმინდაში დააყენეს მამასახლისად გლეხი დ. ჭიაბერაშვილი, რომელსაც სწავლა არსად არ მიუღია, მაგრამ კაცი ბუნებით გონიერია და იმის მეცადინეობით გიორგი-წმინდასა და თითქმის მთელ ხეობაში ჯერ ხანობით გადავარდა ქურდობა. ამ მამასახლისმა რამდენჯერმე მიჰმართა თავის საზოგადოებას შემდეგის სიტყვებით: „ხალხნო, თქვენ თავს თქვენვე უნდა მოუაროთ, ქურდებს ნუ ჰფარავთ, ქურდებს ნუ ეღუპანებით... წამალი რამ გამოვძებნოთო". ერთ ბედნიერ დღეს გიორგი-წმინდის საზოგადოებამ თავი მოიყარა სოფლის სასამართლოსთან, თავის გულის ბოღმა უშიშრად ამოთქვა, დაასახელა ვინც ქურდები იყვნენ სოფელში და ყველანი სამაგალითოდ საჯაროდ გალახა. ასეთი მოქმედება ხალხმა რამდენჯერმე გაიმეორა, მერე ქურდების სია შეადგინა. თუ სოფელში რამე დაიკარგებოდა, ქურდებს უნდა ეზღოთ, ერთი ორად მეტად, რაც დაკარგული (მოპარული) დაფასდებოდა. მაგალითად, თუ ცხენი დაიკარგება, საეჭვო პირებმა გიორგი-წმინდაში უნდა გადაიხადონ 13 მანეთი; აქედან 3 მანეთი ცხენის პატრონს ეძლევა და 10 მ. სოფლის საჭიროებისათვის გადაიდება. კარგა ხანია

სოფელ გიორგი-წმინდაში ქურდობა მოისპო. ეხლა ოთხ-ფეხი საქონელი ღამე და დღე თავისუფლად დადის სოფლის მიდამოში და მეტრონებს შიში აღარა აქვთ ქურდებისა.

გიორგი-წმინდის მაცხოვრებლებს წაჰბაძა ნინო-წმინდამ და მატარძეულმა. ამ სოფლებშიაც უდიერად სცემს ქურდებს. ქურდებს სცემენ სოფლის ყრილობაში საქვეყნოდ. ვალდებულად სცნობენ ყოველ წევრს ყრილობისას ქურდების ცემაში მონაწილეობა მიიღოს. სოფ. მატარძეულში ქურდების მეთაური მამასახლისი აღმოჩნდა. რაკი ხალხი დარწმუნდა, რომ მამასახლისი ქურდობს, მიაყარა სცემა, მაგრამ ამ უკანასკნელმა გაქცევით უშველა თავს. მცხოვრებლებმა უკვე იციან, რომ იმავე დღეს მატარძეულის საზოგადოებამ იგრიალა და შვიდი ვერსის მანძილზე წავიდა სოფ. სართიჭალაში ბოქაულთან... საქმე იქამდის გამწვავდა, რომ ადგილობრივ მთავარ მაზრის უფროსი, თავადი ჯანდიერი, რომელმაც მამასახლისი გადააყენა და ახალი მამასახლისი ნ. ეშმატიშვილი დაყენა.

ა. გ.

დაბა-სოფლები

ურბნისი (ქართლი). წლევანდელი ზურის მოსავალი გულს უთუთქავს ისედაც დაჩაგრულ აქაურ გლეხ-კაცობას. ან კი საიდან იქნებოდა კარგი მოსავალი, როდესაც ბუნება უგულახიერად ხელს უშლიდა, თითქოს განზრახ ეწინააღმდეგებოდა ჯეჯილის ზრდა-განვითარებას: ჯერ ზამთრის თოვლ-ყინვამ ამოაღმო მარცვალი; შემდეგ გაზაფხულის ხშირმა წვიმებმა აჩიშლეს ყანა და დასასრულ ზაფხულის ცხელმა ქვენა-ქარმა აასწრაფა და მოშრიტა მარცვალი. საკმაოა რომ გაიაროთ ამ სოფელში, აქა-იქ კალოებზე შენიშნავთ გლეხებს, რომელნიც გულ-ხელ-დაკრეფილნი და სახე-დაღვრემილნი დასცქერიან თავიანთ წლიურს ოფლს ორ-სამ ზვინს ხვავს და ეგებ ერთ ზვინს ბზისას. რომელ ერთს მოთხოვნილებას გასცემს პასუხს ამ ხვავი? სრული სასოწარკვეთილება შეიპყრობდა ურბნისელებს, რომ სიმინდს კარგი პირი არ უჩანდეს.

რამდენიმე წელიწადი იქნება, რაც ფილოქსერამ შეუჩანხებია ხელი აღებინა აქაურებს. დაძველებულ და მინგრეულ-მონგრეულ ღობიდან რომ გადაიხედოთ და მიდამო-კაფშიკა ბაღებში აქა-იქ ვაზის ყვითელი ფოთოლი შენიშნოთ, იცოდეთ, რომ ურბნისის ვითომ ვენახში გადაცქერით. აქამდის კიდევ იმედი ჰქონდათ, იქნება ვაზი გამოერკვეს და კეთილისრულად დარდების გამაქარწყლებელი ნუნუა მოგვიგოსო, მაგრამ ბევრს ლოდინით გული გაუტყდა: ახსენეს ვაზი და ეხლა კომბოსტო მოჰყავთ.

სხვა ხარჯებს გარდა წელს ურბნისელებს თავიანთ წმ. სტეფანეს ეკლესიის შეკეთება გამოუჩნდათ. ტექნ. კომიტეტმა, რომელიც ადგილობრივ საეკლესიო საგრებულოსა და ოთხის ამორჩეულ გლეხისაგან შესდგება, მამაკაცს ორ-ორი მანეთი შეაწერა სულზე და მომეტებული ნაწილი გადასახდელისა კოლექტ. მალე დაამთავრებენ ეკლესიის შეკეთება-განმშვენიერებას. ძველის-ძველი, უზარმაზარი ეკლესია ახლა, მწვანე შეღებილის სახურავით და თეთრად გალესილის კედლებით ეხლა უფრო მშვენივრად და ამაყად გადმოსცქერის სოფელს და მის არე-მარეს.

საეპარქიო სკოლის დადგენილებით, მომავალ სამოსწავლო წლიდან აქ დაარსდება სამრევლო-საეკლესიო სკოლა.

აქაური

—

სოფელი ახაშენი (კახეთი). ახაშენი ერთი საპატიო სოფელთაგანია სიღნაღის მაზრაში. ამ სოფელში ძველთაგანვე მევენახეობას მისდევენ და ძალიან კარგი ღვინოც მოდის. შარშან კარგი მოსავალი იყო ღვინისა, მაგრამ იაფად გაიყიდა. წელსაც ძალიან კარგად ასხია ვაზს და კარგი მოსავალის იმედია. ამიტომ ღვინის მყიდველნი ძალზედ უწევენ ფასებს და გაჭირვებულ გლეხებს ჩათ-მომავალ მოსავლის ღვინოში მანეთზედ მეტს არ აძლევენ. გაჭირვებულნი ხომ ბევრნი არიან ძალიან. ყოველი საზოგადო თუ სახელმწიფო გადასახადი ზაფხულობით იკრიბება, იმ დროს, როდესაც გლეხს ისედაც ბევრი ფული სჭირია სარჩოს დასამუშავებლად, ხარჯი ბევრი აქვს და შემოსავალი კი შემოდგომამდის არსაიდგან. ამისთვის იძულებულია მოეგახვეწოს და ჩარჩს მიჰმართოს და ჩვენის ფასად ჩაუგდოს ხელში მომავალი მოსავალი, ან იგახშოს ფული იმ სარგებლით, რასაც იგინი ისურვებენ. გაჭირვების ტანჯვისა აქ ერთი ნაცნობს შორეული შვილის-შვილი, რომელიც სარგებლობს ცრემლებით და იზათ არის დასმარება გაუწიოს გაჭირვებულთ. რაკი ხმა გაისმა რიგიან მოსავლისა, დაესივნენ სოფელს ყველა მხრიდან, ვისაც კი მცირე აქვს გახსნილი სხვის ოფლით სარგებლობისა. ყოველ დღე ჰნახავთ სოფელში გარეშე პირს, ცხენით თუ ქვეითად მოსულს, ქაღალდით ხელში მოუარებს ხარჯის ასაკრებად. ამათ არც მიმოზნები ჩამორჩნენ. ასეულობით სოფლის მცხოვრებნი, ყველაზე სოფელს ყოველ დღე დააგროვებენ ხორბალს და ფულს. ამათი გაუსტუმრებლობა და ურიგოდ დახვედრა ხომ გლეხს ცოდვათ მიაჩნია და არ ზოგავს იმათთვის უკანასკნელ ლუკმას ზურსა და ერთმ ფულს, რათა საიქიოს გაატანჯული თავი საიქიოს მაინც კარგ ადგილს დაიგულოს. სხვათა მარჩენელი თითონ ურჩენელი რჩება და თავის საჭიროებისათვის დასაკმაყოფილებლად სხვის კარზე გადის სამუშაოდ.

სამუშაოს ახაშენელები აქვე, ახლო, საუფლისწულო მამულში მოულობენ. საუფლისწულო მამულში მუშაობენ კაცნიც და დედაკაცნიც. კაცის ფასი 40—60 კ. არის და დედაკაცისა—30—40 კ. ზაფხულობით, როდესაც სხვაგან მანეთამდის აძის ხოლმე დღიური ფასი. ეს განსხვავება უგრძნობლად ახაშენელებს და ერთხელ კიდევაც უთხოვნიათ ფასის მომატება. ახაშენელები იმ სასმელ წყლით სარგებლობენ, რომელიც საუფლისწულო მამულშია. ამის გამო გამკეთ სოფელი მალე დაიფანტულა. მუშებს ურიგებენ წიგნებს და ამ წიგნაკებში უწერენ, ვის რამდენი დღე აქვს ნამუშევარი და ვისი ჯილდოს ფასისაც ამ წიგნაკით ურიგებენ. თუ დაჰკარგა ვინმემ, ან შემთხვევით და სხვა მიზეზით არ ჩაუწერეს ამ წიგნაკში ნამუშევარი, მაშინ მუშა ფულს ვეღარ იღებს. ხშირად ამ ფულის მიღებამდეც ერთი ხანი და რაკი მუშას ჰკერავს ბოლომდის სწორია ფული, იგირავებენ ამ წიგნაკს და რამდენისამე დღის განმავლობაში მანეთზედ აბაზს სარგებელს ახდევინებენ. ამ ხულობას ადგა რამდენისამე წლის წინად ერთი ქართველი ვითომ-და ინტელიგენტიც, რომელსაც თავის მამაპაპეული ბედით გაღატაკებია და ახლა სხვათა ოფლის მწოვი ჩარჩებით სურს დაკარგულის ანაზღაურება.

არსებობს ახაშენში წიგნთ-საცავ-სამკითხველოც, როგორც აქ ამბობენ, და ესეც სხვათა მიხედვით უნდა იყოს შემოდებული, თორემ ნამდვილ სამრევლოსაგან არ არის წარმოშობილი. ამ სამკითხველოს მოსდის რამდენიმე გაზეთი და არც ერთი წიგნი კი არ მოეპოვება. უცნაური წესი ჰქონია ამ სამკითხველოს: გაზეთის ფოსტიდან ვინც მოასწრებს, ის წაიღებს, მეორედან ამ წესით მუსამეს და მეორეს მაქვს, მხოლოდ ყველა მსურველმა რომ ისარგებლოს და წაიკითხოს, მაშ წელიწადში 365 დღე კი არა, ათჯერ მეტი უნდა ჰქონდეს. გთხოვთ გაზეთის თუ არა, ამისი კი რა მოგვიხსენოთ და რომ, რაკი ფული გულით სარგებლობენ და ზედ შაქარს მაინც დაამატებენ, ან შეიხვევენ რასმეს დროებით მაინც, ეს კი ნამდვილად ვიცით.

ი. მ.

დეპეშა

(რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

19 აგვისტო

ბიისკი. ხმელეთის გზის მმართველობამ ბარნაულისა და ბიის ქალაქის გამგეობათ ნავთსადგურებზე ადგილი სთხოვა საყინულეების ასაშენებლად. საყინულეებში საზღვარ-გარედ გასაგზავნ კარაქს გაატარებენ, ვიდრე გემებზე დატვირთავენ. საყინულეების გამართვას მდინარე ობის ნავთ-სადგურებშიაც აპირობენ.

ქაფკაფი. გუშინ ღამით ხუთი შეიარაღებული მთიელი არტილერიის აირდის საწყობიდან იარაღის მოტაცებას აპირებდა, მაგრამ დარაჯმა ჯარისკაცმა გაუგო და სადარაჯო რაზმს ნიშანი მისცა; რაზმი მოვარდა და ბოროტ-მოქმედებს თოფის სროლა დაუწყო: ბოროტ-მოქმედებმა თოფები ესროლეს და გაიქცნენ.

სტამბოლი. გუშინ გამოაცხადეს, მატარებლით მომავლის წესი იცვლებაო, მაგრამ დღეს ეს ცვლილება ისევ გააუქმეს.

ბელგრადი. მერვე საუკუნის შემდეგ, პრიზრენში, სერბიის მართლ-მადიდებელ ეკკლესიაში პირველად გაისმა ზარის რეკა. რუსის კონსულ ტუხოლკას წყალობით, ვალიმ ზარის დაკიდების ნება მისცა სერბებს. ეს ზარი პრიზრენელმა სერბებმა 30 წლის წინად რუსეთისაგან მიიღეს საჩუქრად. ცნობილია, რომ მაჰმადიანებსა და ალბანელებს სძულთ ზარის რეკა, ამის გამო ძველ სერბიასა და მაკედონიაში ზარების რეკა აკრძალული იყო.

ნიჟნი-ნოვგოროდი. იარმუკის კომიტეტის დღევანდელ კრებას კომისიის პროექტი წარუდგინეს იარმუკის რწმუნებულთა არჩევის შესახებ. სულ 150 რწმუნებული უნდა აირჩიონ ხოლმე. ამ დღეებში იარმუკის ვაჭართა კრება განიხილავს ამ პროექტს.

ბერლინი. 1904 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გასავალი 30,722,522 მარკით აღემატება შემოსავალს.

20 აგვისტო.

პეტერბურგი. დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ 19 აგვისტოს პირველად იგრძნო თავი კარგად; ღამე კარგად გაატარა; ტემპერატურა ნორმალური აქვს; გული საკმაოდ მოქმედობს.

მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს ვიტეს უბრძანა კვლავ დარჩენა სამეურნეო საჭიროებათა საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარედ.

მოსკოვი. 19 აგვისტოს გადაიწვა კარლის ტილოს ქარხანა. ზარალი 300,000 მანეთამდეა. დაზღვეული 200,000 მანეთად.

ჰააგა. პირველ საერთაშორისო მუდმივ სასამართლოს კრებაზე ვენესუელის საკითხის შესახებ გადაწყვეტილ იქმნა, თუ სჯა-ბაასის დროს რა გზას უნდა ადგნენ.

სტამბოლი. მსოფლიო პატრიარქმა მიიღო მონასტრის და კირკ-კილისის ოლქებიდან ცნობები ოსმალების და რაზმების ძალ-მომრეობაზე ქრისტიანთა წინააღმდეგ. სინოდმა გადასწყვიტა პორტაში განცხადების გაგზავნა. დაარსდა კომისია დაზარალებულთა დასახმარებლად.—კირკ-კილისის საზღვრიდან გაქცეული მაჰმადიანნი, რომელნიც ეხლა აქ იმყოფებიან, მცირე აზიაში იქმნებიან გაგზავნილნი.

ბელგრადი. სერბიელ მართლ-მადიდებელთა ეკკლესიაში პრიზრენში გადახდილ იქმნა ხალხის სურვილისამებრ პანაშვიდი შჩერბინას და როსტკოვსკის სულის მოსახსენებლად.

სტამბოლი. ტირნოვოსთან ღამით ორი შეტაკება მოხდა.—ადრიანოპოლის არტილერიის უფროსის შუკრი-ფაშის მოსვლის შემდეგ რაზმების დევნის საქმე უკეთ წავიდა.—ამ უკანასკნელთ 5 აგვისტოს სამი ყაზარმა გადასწვეს საზღვარზე.

ვაშინგტონი. ჰეიმ 18 აგვისტოს მიიღო ამერიკის კონსულისაგან ბეირუთში რავენდალისაგან შემდეგი დეპეშა: „მაგელსენი ძლივს გადარჩა სიკვდილს, იგი არ დაჭრილა“.

სტამბოლი. ხმები დადის, რომ მაკედონელთა კომიტეტმა სულთანს თავისი თხოვნა წარუდგინა.—ილდიზ-კიოსკის მცველი რაზმი გაძლიერებულ იქმნა. რუსეთის საელჩომ მუქარა მიიღო.—ფეხბი-ფაშა კირკ-კილისის კომენდანტობიდან გადაყენებულ იქმნა. იმის ადგილას დანიშნულ იქმნა გენერალური შტაბის კომენდანტი ისმაილ-ბეი. მეფურობის დასაცველად დატოვეს ბევრი ბოლგარელი, ოსმალი და სომეხი. დღესასწაულის შემდეგ დატყვევებულებს გამოუშვებენ.—დიბრის კაზაში მონასტირის ვილაეტში სოფელი გადასწვეს.—სოფელ სმილევოსთან ჩოხლა რაზმებში 60 კაცი მოჰკლეს 9 დღის განმავლობაში მონასტირის ვილაეტში მოჰკლეს და დასწვეს 300 მეამბოხე.

ბელგრადი. ქალაქის რკინის გზის მოხელეთა გაფიცვა გათავდა. 19 აგვისტოს მიმოსვლა აღდგენილ იქმნა.

კოპენჰაგენი. ინგლისის დედოფალი სამშაბათს საღამოს მოვა.

სტამბოლი. ტახტზედ ასვლის დღესასწაულობამ მშვიდობიანად ჩაიარა. მსოფლიო პატრიარქმა სულთანის წინაშე სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის, სთქვა: „ჩვენ უდიდებთ პირს დამნაშავეთ, ვკიცხავთ მათ საქციელს და ვწამს სულთანის მოწყალება“.

პეტერბურგის ბირჟა 19 აგვისტო

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,65
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,92½
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,35
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,50
ბირჟის დისკონტი	5-6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100½ მყიდ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სათდვ.-მამ. ბანკისა	95⅛ გაყ.
5% 1-ლი შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	444 „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ ბილ. 1866 წ.	336 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სათდგ.-მამ. ბანკისა	289 მყიდ.
5% ობლიგაციები რფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	—
ტფილ. სათდგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
4½% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთაისის სათდგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	186 გაყ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება [illegible] ხიდის პირას ალექსანდრე ოლდენბურგელის მოედნის ქვეშ. სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, ხაზირურგიო, ყელისა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ იღებოლობს. (0—215)

კბილები

და მათი მოვლა-შენახვა

საჯარო ლექციები სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის ბ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს 7 ნახატი აქვს დართული. გამოცემა კ. ჯ—სა. ფასი 40 კაპ.

იყიდება:

ქართვ. წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთანა და „ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. (6—6.—1)

დაიბეჭდა და დღეიდგან გასასყიდად ყველა წიგნის მაღაზიებს

ახალი წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა

ფასი ხუთი შაური.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლ, ლ. ივ. ნათაძეს. (ვ. 0—25)

ბუღალტერი-სპეციალისტი

აზიადებს მსურველთ როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად

ორმაგ იტალიურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, რაზოგადო სავაჭროსა და ბანკიასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციასა ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებში.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მორიგებით. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 5-ს 1903 წ.

ადრესი: ტფილისი, ალ. გ. საათაშვილს ახალციხის შესახვევი, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად საღამოს სამიდან 8 საათამდის.

ვამზადებ ბუხჰალტერიის საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 9-დან 10 საათამდის შეეძლებათ სწავლა. ფასი მათთვის შეღავათიანია.

სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ მოწმობა მიეცემათ.

(4—136—3)

ალ. გ. საათაშვილი.